Amiran-Lazare Sinauridze
Merited Journalist of Georgia,
BRAMS Institute

THE LAST PROPHECY MADE BY EPHRAIM OF ARIZONA

(Abstract)

KEYWORDS: Elder Ephraim, Prophecy, Miracle, St Anthony Monastery, Arizona, United States (USA), Greece

Elder Ephraim of Philotheou and Arizona was reputed to have performed both literal miracles and acts described metaphorically as miraculous. Accounts record how the spirit of the hieromonk averted a 2017 plane crash, saving 22 passengers on a TUS Airways flight from Larnaca to Haifa when the Cypriot pilot, Panagiotis, suddenly fainted; such an event resists rational explanation and invites only faith and a Prayer of Thanksgiving.

St Anthony Greek Orthodox Monastery, founded in the Sonoran Desert, Arizona, by Elder Ephraim, and the adjacent garden he and his industrious, devout brothers cultivated, symbolise the boundlessness of human possibility. This, too, may be regarded as a miracle – but a tangible one. The modern wonder was created by six Orthodox monks in four months, with their own hands and faith in God's aid. Today, the orange and olive groves, orchards and a small vineyard, together with paved paths, gazebos and Spanish fountains, draw not only pilgrims but also casual visitors; some 25,000 people enter this oasis of faith in the

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

desert each year. St Anthony's ranks third in popularity in Arizona, after the Grand Canyon and Sedona's red rocks.

Born in Volos, Greece, on 24 June 1927, Ioannis Moraitis underwent a long and arduous journey before becoming an emblematic Athonite elder. To provide spiritual support for Greek immigrants, Father Ephraim founded seventeen monasteries and a nursing home in the United States and Canada – an extraordinary achievement, verging on the miraculous, by which the grace of Orthodox Christianity spread rapidly across North America.

Jesus said, "For many be called, but few chosen" (Matthew 20:16). Elder Ephraim was, to many, one of the chosen. Until his final breath, he strove to help, warn and guide the faithful, preparing them for the afterlife to come.On 7 December 2019, Archimandrite Ephraim of Philotheou and Arizona reposed in the Lord at about 10 pm local time at St Anthony Monastery. Shortly before his death, he foretold that an "undeclared war" would begin two months after his passing and claim many lives; that prophecy was fulfilled when the COVID-19 pandemic swept most countries. The full spiritual and physical toll of the coronavirus on humanity remains uncertain. Ephraim of Arizona exhorted his spiritual children to persevere and to continue praying to the Lord.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამირან-ლაზარე სინაურიძე
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
ბრამსის ინსტიტუტი

ეფრემ არიზონელის ბოლო წინასწარმეტყველება

საკვანძო სიტყვები: ეფრემ არიზონელი, წინასწარმეტყველება, სასწაული, წმ. ანტონის მონასტერი, არიზონა, აშშ, საბერძნეთი

ამერიკაში მოღვაწე ბერძენი ბერი, ეფრემ არიზონელი სასწაულებს ახდენდა როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. 2017 წლის 9 ოქტომბერს კიპროსული ავიაკომპანიის თვითმფრინავი ლარნაკადან ისრაელის საპორტო ქალაქ ხაიფასკენ ჩვეულ რეისს ასრულებდა. დაშვებამდე ათი წუთით ადრე ძრავს პრობლემები შეექმნა. სწორედ ამ დროს ბერძენმა მფრინავმა პანაიოტიმ მოულოდნელად გონება დაკარგა. ჯერაც კიდევ ბურანში მყოფმა პილოტმა იგრძნო, როგორ გადაიბარა ორმა მხურვალე ხელმა მართვის პულტი. ოცდაორმა შეშინებულმა ებრაელმა მოთქმა-გოდება დაიწყო, დავიხოცებითო. პანიკას არ აჰყოლია ნაზარეთელი მართლმადიდებელი არქიმანდრიტი მამა ანდრია, რომელიც სკვნილზე იესოს ლოცვას ჩურჩულებდა.

თვითმფრინავი მშვიდობიანად მიბრუნდა ლარნაკას აეროპორტში. აღელვებული პილოტი არქიმანდრიტს ხელზე ემთხვია და მეორე ბერი მოიკითხა. მამა ანდრიამ უპასუხა, რომ მის გვერდით არავინ მჯდარა. პილოტი ირწმუნებოდა: „დაბალი, ძალიან გამხდარი, თეთრწვერა ბერი ჩემს ხელებს საჭეზე აკავებდა. სწორედ მან გვიხსნა კატასტროფისგან“.[12] არქიმანდრიტმა მფრინავს ეფრემ არი-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ზონელის ფოტო უჩვენა და გაოცებულმა პილოტმა მასში რეისის გადამრჩენელი მოხუცი ამოიცნო. ამ სტილის სასწაული ახსნას არ ექვემდებარება. უბრალოდ, უნდა ირწმუნო და სამადლობელი ლოცვა თქვა.

არიზონის შტატში არსებულ სონორას უდაბნოში დაარსებული წმინდა ანტონის სახელობის მონასტერი და მის გარშემო შექმნილი წალკოტი ადამიანური შესაძლებლობების უსაზღვროების სიმბოლოა. ესეც სასწაულია, ოღონდ უფრო ხელშესახები. ასეთ სასწაულებს მუდმივად ახდენდა ეფრემ არიზონელი, იგივე ფილოთეველი. „ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია“, ამბობდა იგი. „ჩვენი ცხოვრება, ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეწყდეს. რამდენმა გაიღვიძა და საღამო ვეღარ იხილა? რამდენმა დაიძინა და ვეღარ გაიღვიძა? ზეციური ქალაქისკენ მიმავალი გზა ეკლიანია და მასზე მავალს ტერფებიდან სისხლი სდის, მაგრამ სამოთხეში დამკვიდრების იმედი ყველაფერზე მძლავრია და მოგზაურს მოთმინებას მატებს“.[11]

საბერძნეთის ქალაქ ვოლოსში 1927 წლის 24 ივნისს დაიბადა იოანის მორაიტისი, მომავალი არქიმანდრიტი და ათონის მთაზე ფილოთეოსის მონასტრის წინამძღვარი, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში თვრამეტი მონასტრის დამაარსებელი.[14] ჯერ კიდევ ბავშვობაში, მონაზვნური ცხოვრებისადმი ინტერესი დედამისმა ვიქტორიამ (მოგვიანებით, მონაზონმა თეოფანიამ) გაუღვივა. ქალს ორი ხილვა ჰქონდა ნანახი[17] და ცდილობდა, შვილი შეემზადებინა იმ უდიდესი ღვაწლისთვის, რაც უფალმა განუმზადა მის ვაჟს. ოთხი შვილის მამა, პროფესიით ხურო დიმიტრიც მორწმუნე, მაგრამ საკუთარ სულიერ სრულყოფაზე ნაკლებად ორიენტირებული ადამიანი იყო, რადგან ვიქტორიასეული მადლი აკლდა. ღვთის სიტყვის სიყვარულმა, საბოლოოდ, წმინდა ათონის მთაზე, ღვთისმშობ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლის სავანეში მიიყვანა იოანისი. მანამდე კი, ღმერთისკენ სავალი რთული და მიხვეულ-მოხვეული აღმოჩნდა.

გერმანული ოკუპაციის პირველ წლებში იძულებული გახდა სკოლაში სწავლისთვის თავი დაენებებინა და უფროს ძმასთან, ნიკოლასთან ერთად ოჯახის დახმარებაზე ეზრუნა. დედმამიშვილები, ძირითადად, წვრილმანებით ვაჭრობდნენ. ერთ დღეს ოკუპანტებმა ბაზრის მოედანს ალყა შემოარტყეს ყველა იქ მყოფის დახვრეტის მიზნით. დიდი ხვეწნა-მუდარით მოსახლეობამ მტერი დაითანხმა, ქალები და ბავშვები მაინც დაენდოთ. ნიკოლასმა ბაზრის ტერიტორია მანამდე დატოვა და დაჭერას შემთხვევით გადაურჩა, მაგრამ 15 წლის იოანისი ალყაში მოყვა. შიმშილისგან გაძვალტყავებულსა და მის ასაკთან მთელი თავით დაბალს, პატარა ბიჭისთვის ტრადიციული შორტები ეცვა. მისმა გარეგნობამ მტერი მოატყუა, ბავშვად მიიჩნიეს და სულ ბოლო წამს გაუშვეს. იმ დღეს ქალაქის ყველა ვაჟი და მამაკაცი დახვრიტეს ბაზრის მოედანზე.

როდესაც ვოლოსში შიმშილობა დაიწყო, მორაიტისები სხვებივით ბალახს აგროვებდნენ საკვებად. მრავალი შიში და ტანჯვა გამოიარა ოჯახმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. დედა ვიქტორიას ლოცვის მადლით, ყველა განსაცდელს თავი დააღწიეს და ფაშისტების ხელიდან სიკვდილს გადაურჩნენ.

ერთი გზა რომ გადაიკეტება, მეორე გამოჩნდებაო, ნათქვამია და მართალი გამოდგა მომავალი წმინდა მამის შემთხვევაშიც. მახლობელ ეკლესიაში იოსებ ისიხასტის მოწაფემ, ათონელმა მღვდელმონაზონმა ეფრემმა (ერისკაცობაში გვარად კარაიანისმა) დაიწყო მსახურება. მასთან საუბრების წყალობით, ახალგაზრდა ეფრემი საერო ცხოვრებას თანდათან ჩამოშორდა და ათონის მთაზე გამგზავრება გადაწყვიტა. მამამისი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო და შვილის ყოველ ნაბიჯს უმკაცრესად აკონ-

BRAMS 2020 May ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ტროლებდა. დედა ფარულად დაეხმარა იოანისს და 20 წლის ახალგაზრდა შინიდან გააპარა. როდესაც დიმიტრიმ ცოლს სიმართლე ათქმევინა, მაშინვე ველოსიპედით დაედევნა ვაჟს უკან დასაბრუნებლად, მაგრამ წაიქცა და ისე მძიმედ დაშავდა, იძულებული გახდა, შინ მიბრუნებულიყო. ამგვარად, იოანისს საკმარისი დრო მიეცა, რომ ფეხით მისულიყო პორტამდე. 1947 წლის 26 სექტემბერს პატარა გემმა მშობლიური გარემოდან შორ გზას გაუყენა, „წარმავლობიდან მარადიულობის სანაპიროსკენ".[3]

12 წელიწადი დაჰყო მორჩილებაში ათონის მთაზე წმინდა იოანე ნათლისმცემლის პატარა ეკლესიაში. ერთადერთი ბარათი გაუგზავნა წმინდა მთიდან დედას: „აქ ჩვენ წყლით კი არა, ცრემლებით განვიბანებით ხოლმე".[17] ათონზე გატარებულ წლებში სულიერად გაძლიერდა და რწმენაში გაიზარდა წმინდა ძმებში უმრწმესი. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ მოსცილებია მამა იოსებ ათონელს, რომელიც უპირობოდ მიიღო თავის მოძღვრად. მხოლოდ ორჯერ გაიგონა საკუთარი სახელი სულიერი მშობლისგან. ჩვეულებრივ, ოსტატურად შერჩეული დამცინავი ეპითეტებით უხმობდა მამა იოსები ვოლოსელ მორჩილს.

ბევრი მიდიოდა ათონის მთაზე, მაგრამ ძალიან ცოტა რჩებოდა ბოლომდე. როგორც იესო ქრისტემ ბრძანა: „მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ" (მათე, 20:16). მამა ეფრემი იმ კურთხეულ უმცირესობაში აღმოჩნდა, ვინც ბოლომდე გაუძლო უჩვეულო წვრთნას და სათანადო სულიერ სიძლიერეს მიაღწია. არ უჭირდა მორჩილება, რადგან წრფელი გულით ხვდებოდა, რაოდენი მზრუნველობა იმალებოდა მოძღვრის მოჩვენებითი სალანძღავი სიტყვების მიღმა. წლების შემდეგ მამა იოსებზე დაწერილ წიგნში გულწრფელად აღმოხდა ეფრემ არიზონელს: „რა მადლიერია ახლა ჩემი სული მისი წმინ-

BRAMS 2020 May ISSN 2667-9299 (print)
Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

და ენის ამ ქირურგიული ჩარევის გამო“.[15] ამას გარდა, მორჩილის ყურს მისწვდა ხმები, რომ ზურგს უკან მამა იოსები მას დიდი სიყვარულით ლოცავდა ხოლმე.[19]

1959 წელს მხცოვანი მოძღვარი მიიცვალა და მამა ეფრემს რვა ბერისგან შემდგარი ჯგუფის სულიერი მეთაურობა დაეკისრა. ათი წელიც არ იყო გასული, რომ მისი სამწყსოს რაოდენობა 40-მდე გაიზარდა.[14] 1973 წელს ათონის წმინდა მთის მონასტრების მმართველი საბჭოს თხოვნით, თავის წმინდა ძმებთან ერთად ფილოთეოსის მონასტერში გადავიდა, მისი რიცხობრივი და სულიერი გაზრდის მიზნით. პირველი წარმატების შემდეგ, ათონის მთის სხვა სამი მონასტერიც დააყენა ფეხზე.

1979 წელს მამა ეფრემს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა და ბერძნული წარმოშობის კანადელებმა ოპერაციის გაკეთება კანადაში ურჩიეს. ერთ თვეზე მეტი მოუწია იქ დარჩენა სრულ გამოჯანმრთელებამდე. თუმცა საკუთარ თავზე ზრუნვით არც როდის შემოფარგლულა. შესაბამისად, კანადაში ყოფნის პერიოდში ბერძნული დიასპორის წარმომადგენლებს ხშირად ხვდებოდა და გაოგნებულმა აღმოაჩინა მათი სულიერი ცხოვრების სიმწირე. უცხოობაში მყოფი ბერძნები ნაკლებად იცავდნენ რელიგიურ წესებს, ადგილობრივი გარყვნილების მორევში იოლად იძირებოდნენ და სულ უფრო შორდებოდნენ დედა ეკლესიის წიაღს. თვალცრემლიან მამა ეფრემს გაუცხოვებული ყოფილი თანამემამულეები უმწყემსოდ მიტოვებულ ფარას აგონებდა.[8]

ათონის მთაზე დაბრუნებულ წმინდა მამას წერილების ზღვას უგზავნიდნენ ემიგრანტები, მასთან კვლავ შეხვედრას ითხოვდნენ. უარს როგორ ეტყოდა და კონტინენტებს შორის მოგზაურობას შეეჩვია. ჯერ კანადის დიდ ქალაქებს სტუმრობდა რეგულარულად: ტორონტოს, ვანკუვერსა და მონრეალს. მერე შტატებშიც გადავიდა იქაუ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რი ბერძნების თხოვნით. მისი გამუდმებული მიმოფრენა არ მოსწონდათ ათონის მთაზე და ულტიმატუმის წინაშე დააყენეს მამა ეფრემი: ან ათონი, ან ამერიკა აირჩიეო. წმინდა მამამ ილოცა და ამ დროს ეცნობა ამერიკული მისიის შესახებ. 1990 წელს ფილოთეოსის მონასტრის წინამძღვრობიდან გადადგა და ამერიკაში დამკვიდრდა.

ახალ სამყაროში ფეხის მოკიდება ურთულესი აღმოჩნდა, რადგან ამერიკული საარქიეპისკოპოსოს სინოდმა თავი შორს დაიჭირა მამა ეფრემისგან. იგი დროებით შეიფარა საზღვარგარეთის რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ. წელიწადზე მეტი გავიდა, ვიდრე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო წმინდა ბერის იურისდიქციის საკითხებს მოაგვარებდა. საბოლოო ჯამში, ქმედების სრული თავისუფლება მიანიჭეს: კანადისა და აშშ-ის ტერიტორიაზე მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე შეეძლო მონასტრების დაარსება.

წმინდა მამა ადგილობრივ მღვდელ ანტონთან ერთად გაემგზავრა სონორას უდაბნოში, მონასტრის ასაგებად შესაფერი ადგილის ასარჩევად. შუა გზაში მამა ანტონს ზარის რეკვის ხმა შემოესმა, თუმცა ახლომახლო არანაირი შენობა არ ჩანდა. მამა ეფრემმა ეს ღვთის ნიშნად ჩათვალა. სასწრაფოდ იმ ადგილის პატრონი მოძებნა, სადაც ზარის ხმა გაისმა. საბედნიეროდ, მიწის ნაკვეთი გასაყიდი აღმოჩნდა. როდესაც ტერიტორიის მფლობელმა შეიტყო, რისთვის სურდათ ბერებს მისი მიწა, ფასი გაუნახევრა.[19]

1995 წლის ზაფხულში ხუთი ათონელი ბერი და ეფრემ არიზონელი ახალნაყიდ ტერიტორიაზე დასახლდნენ და წმინდა ანტონის სახელობის მონასტრის აგებას შეუდგნენ არიზონის შტატის სამხრეთში მდებარე სონორას უდაბნოში. ლამის პირველყოფილ პირობებში უწევდათ მუშაობა. არც დენი ჰქონდათ, არც წყალი და საშენი მა-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სალის ნაკლებობაც მუდმივ თავსატეხად გადაქცეოდათ. ღვთის შეწევნის იმედად, შრომა არ შეუწყვეტიათ. მალე შემოწირულობებიც წამოვიდა და სამშენებლო საქმიანობა სრული დატვირთვით გაჩაღდა. დღეში 15 საათი შრომობდნენ ბერები. პარალელურად, არც ლოცვა შეუმცირებიათ. რეკორდულ ვადაში – ოთხ თვეში ტაძარი მზად იყო. მის გარშემო ფორთოხლისა და ზეთისხილის ბაღი გააშენეს. ბოსტანი, პატარა ვენახი, კოხტა ბილიკები, ფანჩატურები და ესპანური შადრევნები დაამატეს.[18]

მართლმადიდებლური ოაზისის სანახავად, მომლოცველებთან ერთად, ტურისტებმაც დაიწყეს მოდინება. ამჟამად, წელიწადში 25 ათასი ადამიანი სტუმრობს უდაბნოს ამ საოცრებას. დიდი კანიონისა და სედონას წითელი კლდეების შემდეგ, სწორედ მამა ეფრემის წმინდა ანტონის სახელობის მონასტერია ყველაზე პოპულარული ადგილი არიზონის მთელ შტატში. ახლა იქ უკვე 50-ზე მეტი ბერი სახლობს.[9]

მცირე დროში შექმნა მონასტრების მთელი ქსელი ადგილობრივების თხოვნითა და თანადგომით. როგორც მიტროპოლიტმა იეროთეოს ვლახოსმა ხატოვნად აღნიშნა: ეფრემ არიზონელზე „ზეციური ცეცხლი გადმოვიდა და ეს ცეცხლი მან ამერიკის ეკლესიას გადასცა, რომელსაც ძალიან სჭირდებოდა“.[13] მხოლოდ ციფრებშიც კი ეფრემ არიზონელის უდიდესი სულიერი ღვაწლი წარმოუდგენლად შთამბეჭდავია: შვიდი მამათა და თერთმეტი დედათა მონასტერი დააარსა. ეს მართლაც არნახული საოცრება იყო, რადგან სულ რამდენიმე წელიწადში მართლმადიდებლობის მადლი ცეცხლივით მოედო ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტს.

ღირსი იოსებ ათონელის (ისიხასტის) სულიერმა შვილმა და მემკვიდრემ, არქიმანდრიტმა ეფრემ არიზონელმა 2019 წლის 7 დეკემბერს განისვენა ქრისტეში. ამ

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ქვეყნიდან გასვლის წინ წმინდა მამას უთქვამს, რომ მისი გარდაცვალებიდან ორი თვის თავზე სამყაროში „გამოუცხადებელი ომი“ დაიწყებოდა, რომელიც ბევრი ადამიანის სიცოცხლეს იმსხვერპლებდა.

ეფრემ არიზონელის წინასწარმეტყველება[16] დათქმულ დროს ასრულდა. მსოფლიო მრავალი თვით გაჩერდა. „სიკვდილის ვირუსმა“, რომელიც კოვიდ-19-ის სახელით მოევლინა დედამიწას, თითქმის, ყველა ქვეყანაში შეაღწია. უკვე ასი ათასობით ადამიანი გარდაიცვალა და ჯერ კიდევ არავინ უწყის, უახლოეს მომავალში რა მასშტაბებს მიიღებს, რა აუნაზღაურებელ სულიერ და მატერიალურ ზარალს მიაყენებს კორონავირუსი კაცობრიობას. ეფრემ არიზონელის აზრით, ადამიანთა ხსნის ერთადერთი გზა მოთმინებაა: „ილოცე, შვილო, რადგან ლოცვაზეა დამოკიდებული ყველაფერი და, რაც მთავარია, ჩვენი სულების ცხონება... მთელი სულიერი ძალები მოვიკრიბოთ, რომ მტკიცედ ვიდგეთ იმ დიდი სათნოების აღსრულებისთვის, რომელსაც მოთმინება ჰქვია“.[1] საოცრად ორაზროვანი და, ამავე დროს, ზუსტი დამოძღვრაა. სწორედ ჩვენი მოუთმენლობაა უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ვირუსმა, რომლისგან ჩვეულებრივი ხელის საპონს შეუძლია დაგვიცვას, პანდემია და პანიკა გამოიწვია.

ლიტერატურა ▫ References

1. არქიმანდრიტი ეფრემ არიზონელი, „ილოცე, შვილო, რადგან ლოცვაზეა დამოკიდებული ყველაფერი“, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი „ამბიონი“, 17 აგვისტო, 2018.
2. არქიმანდრიტი ეფრემ არიზონელი: სიყვარული ყოფილიყოს თქვენს ერთობაში ყოველი მოქმედების საფუძველი, სარედაქციო სტატია, ჟურნალი „კარიბჭე“, 20 იანვარი, 2018.
3. არქიმანდრიტი ეფრემ ფილოთეველი, მოგონებები მამა იოსებ ათონელზე, „მონაზვნური გამოცდილების გადმოცემა“ (2004), ხახულის ღვთისმშობლის ახალი შუამთის დედათა მონასტერი (orthodoxy.ge).

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

4. არქიმანდრიტი ეფრემ ფილოთეველი (არიზონელი), მართლმადიდებლობა სახარების სამეუფეო გზაა, 25 ნოემბერი, 2015 (xareba.net).
5. არქიმანდრიტი ეფრემ ფილოთეველი (არიზონელი), რა უნდა ვქნათ, რომ ნამდვილად განვიცადოთ პასექის სასწაული, 2011 (martlmadidebloba.ge).
6. ბერი ეფრემ არიზონელი – ანტიქრისტეს შესახებ (1992 წლის ჩანაწერი), თვალსაზრისი, 6 აპრილი, 2020.
7. ეფრემ ფილოთეველი (არიზონელი) – სახე ჭეშმარიტი მისიონერობისა, დეკანოზ თეოდორე გაგნიძის ქადაგებები, 17 მაისი, 2015 (teodore.ge).
8. მამაცაშვილი თამარ, ეფრემ ფილოთეველი ანტიქრისტეს მოლოდინზე და ამერიკაში მონასტრების დაარსების მნიშვნელობაზე, ჟურნალი „კარიბჭე“, 30 ივნისი, 2015.
9. *A Spiritual Oasis in the Desert*, St Anthony's Monastery website (stanthonysmonastery.org).
10. *Coronavirus Pandemic Prophecy*, Little city hermit, Orthodox Christian Faith and Life website. Retrieved 20 March 2020.
11. Elder Ephraim (1999), *Counsels from the Holy Mountain: Selected from the Letters and Homilies of Elder Ephraim*, Florence, Arizona: St Anthony's Greek Orthodox Mondastery. ISBN 0966700031.
12. *Elder Ephraim miraculously prevents plane crash, reports say*, Orthodox Christianity, 19 October 2017.
13. Elder Ephraim, *On the World and Family*, Orthodox Christian Information Center (orthodoxinfo.com).
14. *Elder Ephraim of Philotheou and Arizona Reposes in the Lord*, report katanixi.gr and the Serbian Orthodox Diocese of Eastern America News Agency, 8 December 2019 (easterndiocese.org).
15. *Elder Ephraim passes away peacefully in Arizona*, by GCT, The Greek City Times, 8 December 2019.
16. Hoffower, Hillary, *Here are 12 people who seemingly predicted the coronavirus pandemic*, Business Insider, 14 May 2020.
17. *Rozhnev,a Olga, and Zatushevskaya, Olga, A novice of her own son: on Gerontissa Theophano, the mother of archimandrite Ephraim of Philotheou*, translated in English by Jesse Dominick, 11 November 2016 (pravoslavie.ru).
18. Иеродиакон Никон (Горохов), *Монастырь во имя преподобного Антония Великого в пустыне Сонора (штат Аризона, США)*, 29-31 января 2013.
19. Старец Ефрем Филофейский (Мораитис) (2018), *Моя жизнь со старцем Иосифом*, Ахтырский Свято-Троицкий монастырь.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)